ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝ ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲗᲐ ᲒᲐᲜᲗᲘᲡ

ᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 30 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ 1919 წ. № 194

ერთობა

ᲤᲐᲡᲘ 1 ᲛᲐᲜ.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲓᲘᲡᲢᲘ: 1 თვით [illegible] ნომერი ყველგან 1 მანეთი. განცხადებანი [illegible] სი. როგორც პირველ გვერდზე ისე-[illegible] პეტიტის სტრიქონი—2 შან. სამგლოვიარო განცხადება 40 მანეთი. ნისია განცხადებები არ დაიბეჭდება. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპ. № 24.

ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ 16—62.

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲓᲐ ᲙᲐᲜᲢᲝᲠᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ.

აუწერელ მწუხარებაში მყოფნი: მეუღლე მიხეილ ზაალის ძე ასკურავა, შვილები: მარო წილოსანისა (შვილებით), ელენა, ვანო და რძალი ფლორა ლომთათიძის ასული აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

ᲔᲚᲘᲡᲐᲑᲔᲓ ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖᲘᲡ ᲐᲡᲣᲚᲘᲡ ᲐᲡᲙᲣᲠᲐᲕᲐᲡ

უდროოდ გარდაცვალებას, რომლის ტირილი და ორმოცი დღის წირვა-პანაშვიდი დანიშნულია შაბათს, 30 აგვისტოს (ახალი სტილით), დღის 12 საათზე ქ. ლანჩხუთში. (2—2)

„ერთობის უბნის“ სახალხო გვარდიის შტაბი და გვარდიელები აუწყებენ ამხანაგებს და მეგობრებს, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა გვარდიელი

ᲙᲝᲜᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲔ (ᲙᲝᲢᲔ) ᲛᲘᲮᲔᲘᲚᲘᲡ ᲫᲔ ᲓᲘᲓᲕᲔᲚᲝᲕᲘ

დაკრძალვა შაბათს, 30 მარიამობისთვეს საკუთარ ბინიდან (სამოვოლნი ქუჩა, № 56).

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘ ᲓᲐ ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲐ

ინგლისის ჯარები თანდათანობით გადიან კავკასიიდან. ბაქო უკვე დაიცალა მათგან. შემცირდა მათი ჯარი თფილისშიაც. ეს გარემოება დიდ მითქმა მოთქმას იწვევს საზოგადოებაში. ამ ფაქტში სურთ დაინახონ ინგლისის ყურადღების შესუსტება ამიერ კავკასიისადმი, უნდათ დაინახონ „დენიკინის ანაბარათ“ მიტოვება იმ პატარა დემოკრატების, რომელნიც აღმოცენდენ კავკასიის სინამდვილეში. მაგრამ ნამდვილი მდგომარეობა საქმისა სრულიად არ ამართლებს ამგვარ შეხედულებას. ირკვევა, რომ ჯარების გაყვანა გამოწვეულია შინაგანი განწყობილებით თვით ინგლისის კლასებ შორის. უმთავრესათ ეს ფაქტი მოასწავებს ერთგვარ დათმობას ინგლისის მიერ მუშებისა და ჯარისკაცების წინაშე, რომელთაც აღარ სურთ 5 წლის ომის შემდეგ კვლავ აჟღარუნონ იარაღი და სამშობლოს მოწყვეტილი იყონ.

დემოკრატიული მისწრაფებების ზრდა ინგლისში ნამდვილი მიზეზია სამხედრო ძალების ჩვენგან გაყვანისა.

მაგრამ დემოკრატიული ქვეყანა არასოდეს არ დაივიწყებს და არ მიატოვებს პატარა დემოკრატიებს. ჩვენ გვწამს, რომ ინგლისის ხალხის ყურადღება ახლა კიდევ უფრო მეტათაა მოპყრობილი ჩვენსკენ. დემოკრატია ინგლისის არა ნაკლები დამცველია ჩვენი დამოუკიდებლობის და ხელშეუხებლობის, ვინემ სხვა რომელიმე წრე. და ცხადია ამ დამოუკიდებლობისთვის ხელის შეშლა და მისი დამხობა არასოდეს არ გახდება ინგლისის დემოკრატიის მიზნათ. პირიქით იგი მას დაიცავს. ამით აიხსნება ისიც, რომ სწორეთ ამ დროს, როცა ინგლისის ჯარის რიცხვი კლებულობს, ჩვენში მოდის ინგლისის მთავარი კომისარი მთელი ამიერ კავკასიისათვის ოლივერ უორდროპი, კაცი, ცნობილი, როგორც კარგათ მცოდნე ადგილობრივი ერების, მათი ცხოვრების, კულტურის, წარსულის და აწმყო მდგომარეობის.

ჩვენ ღრმად გვწამს, რომ ის მცირედი კონფლიქტები და გაუგებრობანი, რომელსაც ჰქონდა ადგილი წინეთ ჩვენსა და ინგლისის სარდლობის ზოგიერთ წარმომადგენლებს შორის, აიხსნება ერთმანეთის გაუცნობლობით, და რომ იმ თავითვე ინგლისის წარმომადგენლათ ყოფილიყო ისეთი მცოდნე ჩვენი ხალხისა, როგორც უორდროპია, კეთილგანწყობილება ჩვენსა და ინგლისს შორის ერთიათათ უფრო ძლიერი შეიქნებოდა.

არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ, რომ ჩვენ დიდათ ვაფასებთ ინგლისის ჯარის აქ ყოფნის მნიშვნელობას საერთოთ ამიერ კავკასიის რესპუბლიკებისათვის.

მას დიდი დადებითი მხარე ჰქონდა ჩვენთვის. გვწამს, რომ მათი აქ ყოფნა არ დარჩა უმნიშვნელოდ ინგლისის საზოგადოებისთვისაც.

ოლივეს უორდროპის ჩამოსვლით ჩვენ გვგონია ყოველგვარ გაურკვევლობას სამუდამოთ ბოლო მოეღება, მისი შრომა და მოღვაწეობა საქართველოში საერთო თბილგრძნობას იწვევს საზოგადოების ყველა წრეებში. საერთო სიმპატიის ტრიალებს მისი სახელის გარშემო და ეს სიმპატია მის ახალ როლში, ჩვენ ღრმათ გვწამს, კიდევ უფრო გაძლიერდება.

მის ჩამოსვლას ჩვენ ვუყურებთ, როგორც სერიოზულ და გადაუვალ სურვილს ინგლისისას, შექმნას მჭიდრო დამოკიდებულება ჩვენს რესპუბლიკასთან. ინგლისის ჯარის შემცირება ჩვენში სავსებით იფარება ამ ახალი ფაქტით, და ჩვენ ვამბობთ: კეთილ იყოს თქვენი მოსვლა.

ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ

II

წინათ პარტიული მუშაობა შედარებით უფრო მარტივი იყო. ძნელი იყო მხოლოდ გარეშე პირობები ამ მუშაობისა, დღეს კი პირიქით. გაძნელდა, გართულდა შინაარსი, სრულიად გამარტივდა და გაადვილდა მისი ცხოვრებაში გატარება. მართალია ეს გარემოება დიდათ ამძიმებს და ართულებს პარტიულ მუშაობას, მარა იმავე დროს პასუხისმგებლობა ვალათ ადებს ჩვენს პარტიას მის დაძლევას.

ცხოვრება ისე გართულდა, ისეთი ფორმა და შინაარსი მიიღო, რომ მისი გაგება და შეთვისება მეტად უძნელდება ჩვენს ხალხს. და ამ გაუგებრობის ნიადაგზე თავს იჩენს ხოლმე მრავალი არა სასიამოვნო მოვლენა, რომლის თავიდან აცდენა სულ ადვილი იქნებოდა და იქნება, თუ პარტია არ ჩამორჩება ცხოვრების მსვლელობას და ენერგიულათ შეასრულებს იმ „ოკუშორის“ როლს, რომელიც უმსუბუქებს ხალხის ცხოვრებას მშობიარობის ტკივილებს.

უნდა ითქვას, რომ ყველა ის მუშაობა, რომელიც ცენტრში სწარმოებს, თითქმის გაუგებარია პროვინციისათვის. პროვინცია თითქოს თავის საკუთარი ცხოვრებით ცხოვრობს, ცენტრი კიდევ თავისით. ორგანოები, რომელიც შექმნილია ცენტრის და პროვინციის გადასაჯაჭვათ, როგორც ფორმით, ისე შინაარსით და მოქმედებით სრულიად ახალია და მისი მოქმედების ახსნა გარკვევაც კი მეტად დიდ შრომას და ენერგიას ითხოვს. და აი ასეთ დროს პარტიის მუშაობის მოდუნება პირდაპირ საბედისწეროთ უნდა ჩაითვალოს.

ჩვენ გვქონდა შემთხვევა ზოგიერთ ადგილებში ხალხთან გვესაუბრა და ჩვენს განცვიფრებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა გავიგეთ, რომ ხალხის უდიდესმა ნაწილმა ისიც კი არ იცის, თუ რას აკეთებ სდამფუძნებელი კრება. როცა ჩვენ გავაცანით დაწვრილებით დამფუძნებელი კრების მუშაობა, ისინი განცვიფრებული დარჩენ და ერთხმად დაიძახეს, რომ თუ ასეა, აწი ჩვენ ვიცით როგორ დავეხმარებით მთავრობას და დამფ. კრებასო. და ეს იყო არა რომელიმე მივარდნილ კუთხეში, არამედ ერთ ერთ მოწინავე მაზრაში. ამის შემდეგ ადვილი წარმოსადგენია, რა იქნება მივარდნილ კუთხეში.

რევოლიუციური პარიზი დაამარცხა საფრანგეთის პროვინციამ, რომელმაც ვერ გაიგო მისი რევოლიუციური სულისკვეთება, ვერ გაჰყვა მის ცვალს. ჩვენში ასეთი რამ ჯერ მაინც არ ემჩნევა, მარა ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ რესპუბლიკის არსებობა და მისი შემოქმედებითი მუშაობა სავსებით უზრუნველყოფილია შინაური ძალთა არევ დარევისაგან. სხვა რომ არა იყოს რა მარტო ეს გარემოება დაჟინებით გვიკარნახებს ჩვენი ხალხის ყველა ცხოველ მყოფელის ძალების ამუშავება ამოძრავებას. ასეთ ძალებში კი პირველი ადგილი უჭირავს ჩვენ პარტიას, რადგან ის არის ერთად-ერთი ყავარჯენი, რომელზედაც ეყრდნობა და შენდება ჩვენი ხალხის კეთილ-დღეობა.

შეცვლილი პირობები მოითხოვს პარტიული მუშაობის შინაარსის შეცვლასაც და ამ მუშაობაში პირველი ადგილი უნდა ეჭიროს, ჩვენის აზრით, შემდეგი კითხვების გაშუქება-განმარტებას:

1. მარქსიტული კრიტიკა მომენტისა ეკონომიკური მდგომარეობისა ჩვენში და ევროპაში, განსაკუთრებით რევოლიუციური მოძრაობის და მისი ხასიათის.

2. ახსნა-განმარტება დემოკრატიული წყობილების პრინციპების, რომელზედაც უნდა დაემყაროს ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრება.

3. გაცნობა დამფ. კრების მუშაობის და მისი მთავარი კანონების გარკვევა ხალხის ფართო მასსისათვის.

4. ერობის პოპულიარიზაცია და მისი მდგომარეობის ახსნა-განმარტება საზოგადოებისათვის.

5. გადასახადების საჭიროება და აუცილებლობა.

6. გარჩევა ბალშევიკების ყალბი იდეოლოგიის.

7. და საერთოდ ჩვენი პროგრამული და თეორეტიული პრინციპების, რისთვისაც უნდა მოეწყოს ლექციები, მიტინგები, კრებები და წრეები.

8. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ჯარში მუშაობას. მათთვის, როგორც რესპუბლიკანური ჯარის და ხალხის დამცველების მოვალეობის ახსნა-განმარტებას და სხ.

არის კიდევ ბევრი სხვა საკითხები, ეკონომიური, ფინანსიური და სხ., მარა ჩვენ აუცილებელ საჭიროთ მიგვაჩნია ეს კითხვები პირველ რიგში იქნას, რომ მისი შეთვისებით ადვილი გახდეს შემდეგი მუშაობა.

ყველა ჩვენი ორგანიზაციებში სასწრაფოთ უნდა შეუდგენ ასეთი შუშაობის დაწყებას და მათ ხელმძღვანელობა უნდა გაუწიოს ცენტრალურმა კომიტეტმა.

ასეთი მუშაობა დიდათ შეუწყობს ხელს ჩვენი მთავრობის და საზოგადო ორგანოების მუშაობას და ყოველივე ეს კი მტკიცე საფუძველს ჩაუყრის ჩვენი ხალხის კეთილდღეობას, რომლის დაცვა და სამსახური ერთად ერთი მამოძრავებელია ჩვენი პარტიის.

ამით ხალხი შეიგნებს მთავრობის და კანონმდებლების მუშაობის ნამდვილ შინაარს, მთავრობა გაიგებს ხალხის გულის ნადებს და ასე შეთანხმებული მუშაობით გაადვილდება იმ მძიმე საქმის გაკეთება, რომელსაც რევოლიუციის მონაპოვართა განმტკიცება ეწოდება და რომელზედაც უნდა აშენდეს ჩვენი ხალხის კეთილდღეობა, ჩვენი ნორჩი რესპუბლიკის ბედი და მომავალი.

ᲞᲠᲔᲡᲐ

ჩვენი გაზეთის მე-186 ნომერში მოთავსებულ წერილზე—„დაშნაკცუტიუნი და ინტერნაციონალიზმი“—„აშხატავორმა“ (№ 177) ხმა ამოიღო და „ძველი სიმღერის“ სათაურით წერილი მოგვიძღვნა.

„აშხატავორი“ სწერს:

„კამათში შებმა „ერთობასთან“ არსებითად, ჩვენ გვგონია, არ ღირს იმიტომ, რომ თვითონ ერთობელებს ძალიან კარგათ მოეხსენებათ, რომ ამა თუ იმ პარტიის შინაარსი სრულებით არ ჰკიდია მის ნაციონალურათ თუ ინტერნაციონალურათ მოწყობაზე. ნათქვამის საუკეთესოდ დამტკიცება შეიძლება თვით ერთობელების პარტიით, რომელიც, თუმცა ინტერნაციონალურათ არის მოწყობილი, მაგრამ სინამდვილეში მეაგე ნაციონალისტური პარტიაა. ზედმეტია აგრეთვე იმის მტკიცება „ერთობის“-თვის, რომ ისტორიის წყალობით, როცა სომხური რევოლიუციონური პარტია „დაშნაკცუტიუნი“ გახდა სახელმწიფოებრივ პარტიათ, თავის თავათ შორდებიან ის სპეციფიკური პირობები, რომლებიც, პრინციპიალური თვალსაზრისის დამოუკიდებლათ, აიძულებდენ მას მოწყობილიყო ეროვნულ ფარგლებში.

„ყველა ეს კარგად მოეხსენება „ერთობას“, ამის საპასუხო არაფერი აქვს, მაგრამ ის ისტორიული დიდი ევოლიუცია, რომელიც მოელის „დაშნაკცუტიუნის“ პარტიას, „ერთობას“ მოსვენებას არ აძლევს. მას ჩვეულებისამებრ არ შეუძლია შემთხვევა ისარგებლოს, რომ „დაშნაკცუტიუნს“ პროვოკაცია არ გაუკეთოს. მისი მხურვალე სურვილია „დაშნაკცუტიუნის“ ოცდაათი წლის მოღვაწეობის „ქარისთვის გატანება“ და „სომეხ-თათართა დამოკიდებულების“ უკვე საზიზღარი ინსინუაციის განმეორება.

„ინტერნაციონალური სოლიდარობის აღთქმათა მიმცემი „ერთობა“ საურთიერთო დამოკიდებულებების ახლად წარმოშობის წუთსაც არ ჩერდება თავისი უძლური პროვოკაციის გადმონთხევისაგან.

„ამაო და გულუბრყვილობა იქნებოდა მეტის მოთხოვნა „ერთობისაგან“—„კუზიანს მხოლოდ საფლავი გაასწორებს“.

ასე დაამნელა ჩვენ მიერ ნათლად დასმული კითხვა დაშნაკცუტიუნის „აშხატავორმა“.

ჩვენ ის კი არ მიგვაჩნია გასაკვირველ მოვლენად, რომ როცა სახელმწიფოებრივი პარტია დაშნაკცუტიუნი სომხეთის სახელმწიფოს აშენებს, სხვა საფუძველზე მოეწყოს ის. ჩვენ აღვნიშნეთ მხოლოდ, რომ დაშნაცუტიუნი ცხოვრების სასტიკმა კანონებმა ამ დასკვნამდე მიიყვანა.

ახლა ცხადია, თუ როგორ სურს სომხეთის აშენება დაშნაკცუტიუნს: ის დგება ანცდილობს დადგეს ინტერნაციონალურ ნიადაგზე.

მაგრამ საკითხავია—როგორ ანგრევდა ეს პარტია ოსმალეთის დესპოტიზმს, როგორ ებრძოდა სულთანიზმს?

საკუთარი, სომხური ძალებით!

30 წლის ბრძოლაში დაშნაკცუტიუნმა ოსმალეთში ვერ ჰპოვა ვერც ერთი კლასი, რომელთანაც შესაძლებელი იქნებოდა შეკავშირება სულთანიზმის წინააღმდეგ!..

ოსმალეთის ბეგები, გლეხები, მუშები და სხ. დაშნაკცუტიუნის წარმოდგენით ებრძოდნენ მხოლოდ სომხებს. ოსმალეთში სულთანიზმისთვის იბრძოდა მხოლოდ სომხობა დაშნაკცუტიუნის მეთაურობით. ამ აზრს ავრცელებდა დაშნაკცუტიუნი ყველგან სომხობაში, ამასვე იმეორებდა გარეშე სახელმწიფოების წინაშე.

დაშნაკცუტიუნის ამ გვარმა მოღვაწეობამ მისცა კარგი ნიადაგი ოსმალეთში ეროვნულ შუღლს, სომეხ-თათართა ხოცვა ჟლეტას...

სულ სხვა მოხდებოდა, რომ დაშნაკცუტიუნს თავიდანვე გულწრფელათ ინტერნაციონალურათ ეწარმოებია მუშაობა ოსმალეთში. მაშინ ის იქაური სოციალურ ელემენტებს დაუკავშირდებოდა და სულთანიზმის წინააღმდეგ ბრძოლა არ გახდებოდა საბაბი სომეხთა ხოცვა-ჟლეტისა.

და თუ ჩვენ ამ სწორ აზრს მოვიყვანთ ზოგჯერ, განა ეს „პროვოკაციის გადმონთხევაა“?!

პროვოკაცია იყო თვით ფორმა დაშნაკცუტიუნის „ბრძოლისა“ ოსმალეთში სულთანიზმის წინააღმდეგ: ზინგორების თარეში ოსმალეთში, დაშნაკელი დიპლომატების „ძრომა“ ევროპის სახელმწიფოთა დიპლომატების კაბინეტებში!..

დაშნაკცუტიუნის პროვოკაციის მსხვერპლი შეიქნა ოსმალეთის სომხობა, ამას ამბობს ახლა მთელი ქვეყანა, ამასვე ვიმეორებთ ჩვენ...

დღეს

სამხრეთის ფრონტზე, კურსკის რაიონში, ბრძოლაა. საბჭოთა ჯარმა დაიჭირა პავლოვსკი და ნოვოხოპიორის აღების შემდეგ შეტევას განაგრძობს. ურალსკის ფრონტზე საბჭოთა ჯარი გურიევის ნავთსადგურის მიმართულებით წინ მიიწევს და დაიკავა სასნოვსკოე.

ბალშევიკების ცნობით ჩერჩილს განუცხადებია: თუ ვინიცობაა მომავალ სექტემბერში ბალშევიკები არ იქნენ დამარცხებულნი რუსეთში მოკავშირეებმა უნდა სცნონ საბჭოთა მთავრობა და მასთან შეკრან ზავი.

ბალშევიკების ცნობით კიევს არავითარი საფრთხე არ მოელის.

საფრანგეთის დეპუტატთა პალატაში დაიწყო საზავო ხელშეკრულების განხილვა.

და თუ დღეს „დაშნაკცუტიუნი“ ხელს აიღებს ამ ძველ გზაზე—ეს სასიხარულო იქნება, მაგრამ „აშხატავორის“ წერილები, სამწუხაროდ, მოწმობს მხოლოდ იმას, რომ დაშნაკელებს სიტყვით უცვლიათ ქურქი, საქმით კი იმავე ძველ საქმეს არ გასცილებიან. აი ამიტომ ვამხელთ ჩვენ დაშნაკელების ორპოფობას, სიყალბეს და დამღუპველ პოლიტიკას.

***

რა ეშველებოდა „სახალხოს“ რომ ამხ. განის ერთ ერთ წერილში არ ყოფილიყო კორექტურული შეცდომა, რომელიც იმავე ნომრის უმეტესობაშივე იყო გასწორებული! ეს შეცდომა, ჯერ „საქართველომ“ ღეჭა და როცა კბილები მოჭკვეთა, „სახალხოს“ გადასცა. ახლა კი იქ ერთობიან მისი ღეკვით. ან კი რა ჭქნან თუ სხვა არაფერი აქვთ სათქმელი!

„სახალხოს“ ისე ძალიან უნდა კოოპერატივების დამცველის მოწმობა მიიღოს, რომ ყალბი ცნობების გამოყენებასაც კი არ ერიდება და გვაწერს იმას, რაც, რასაკვირველია, არასოდეს არ გვითქვამს და არც ვიტყოდით და ჭგონია რომ დაუჯერებენ.

კოოპერატივ „დახმარების“ ისტორია ჩვენ პირველმა გამოვაქვეყნეთ და ისიც რამდენიმე თვის წინად. „სახალხომ“ ახლა გაიგო ეს ამბავი და ქვეყანას აწუხებს—რა ალმოვაჩინეო.

„სახალხო“ ბეჭდვითი სიტყვის უპატივცემულობასაც გვიკიჟინებს! ჩემი შენ გითხარიო—ესაა სწორეთ. ბეჭდვითი სიტყვის უპატივცემლობაზე რო საქმე მიდგეს, „სახალხოს“ ერთი კი არა, რამდენიმე ასი კაცი დასჭირდებოდა ყურების ასაწევათ...

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

29 აგვისტო.

ფრანგული პრესის ცნობები.

უმაღლესი საბჭო განაგრძობს ავსტრიის ხელშეკრულების პირობების განხილვას. საბჭომ რუმინიას ახალი ნოტა გაუგზავნა იმის შესახებ, რომ უნგრეთში რუმინელები მაინც განაგრძობენ რეკვიზიციებს.

დღეს იხსნება დეპუტატთა პალატის სხდომები და დაიწყება საზავო ხელშეკრულების განხილვა. ამ საკითხზე ლაპარაკის სურვილი 30 ორატორმა განაცხადა.

ინგლისის ესკადრამ გადასხა დესანტი და ისევ დაიპყრო ადესა.

ბალშევიკების ცნობები

ლიონი 27 აგვ. პრემიერმა ბრატიანომ, გაზეთ „ტან“-ის ბუქარესტელ კორესპონდენტს კითხვაზე, თუ როგორი აზრის არის ის რუმინიისადმი საზავო კონფერენციის დამოკიდებულების შესახებ, უპასუხა, რომ მას ძლიერ აკვირვებს, რომ ამ მოქმედებას გამოეწვია რაიმე გაუგებრობა, რადგან საზავო კონფერენციის შეხედულება ეთანხმებოდა რუმინიის მთავრობის შეხედულებას. არა მარტო რუმინია, არამედ მთელი ევროპაც დაინტერესებულია უნგრეთში წესრიგის აღდგენის საკითხით, რადგან თუ პროლეტარიატის დიქტატურა გაგრძელებულიყო ბუდაპეშტში, ის გავრცელდებოდა ვენაში და სხვა ქალაქებშიაც.

ნაუენი. 27 აგვ. მიუხედავად იმისა, რომ ზემო სილეზიაში საყოველთაო გაფიცვები თანდათან მცირდება, ქვანახშირი მაინც ვერ მუშავდება ჯერჯერობით საკმაო, რადგან გაფიცულთა უმეტესი ნაწილი, რომლებიც საზღვარზე გადავიდნენ, პოლონელების დახმარებით, ეხლა უკან ბრუნდებიან, მათ პოლონელები იარაღს აძლევენ და თავის ფარულ მუშაობას განაგრძობენ. **ლიონი**, აგვ. 27. გაზეთ „ნეიეფრი პრესსე“-ს ცნობით, უნგრეთის ახალი კაბინეტი შესდგა ფრანსუა ჰეინრიხის თავმჯდომარეობით. კაბინეტში მონაწილეობას იღებენ სოციალისტები გრამი—საგარეო საქმეთა მინისტრი და ერნსტე—საზოგადოებრივ მზრუნველობის მინისტრი. ქრისტიან სოციალისტების თანამშრომლობა უზრუნველყოფილია. **მოსკოვი.** აგვ. 25. ერთ ყრილობაზე ინგლისის მინისტრმა ჩერჩილმა სიტყვა წარმოსთქვა რუსეთის რევოლიუციის წინააღმდეგ მოკავშირეთა მიერ მიღებულ ზომების შესახებ. მისი სიტყვით, აგვისტოს დამლევს ან ენკენისთვის დამდეგს 14 სახელმწიფოს ჯარი დაიწყებს ყოველი მხრიდან მოსკოვზე შეტევას. იმ შემთხვევაში, თუ ბოლშევიზმი დამარცხდა, რუსეთის მმართვას იკისრებს შერეული კომისია, სამხედრო დიქტატურის ქვეშ, სანამ დასაწყნარებელი მუშაობა არ დასრულდება. თუ ეს გეგმა არ მოხერხდა—მაშინ დარჩა ერთი გზა—აღიარება საბჭოთა რუსეთის და რუსეთთან ზავის შეკვრა. პოლონეთის მთავრობა ლატიშებთან და ლიტოველებთან მოლაპარაკებას აწარმოებს ბალშევიკებთან ბრძოლისთვის. თეთრ-ლატიშთა მთავრობამ მოკავშირეებს სთხოვა სურსათით დაეხმარონ მას. უმაღლესმა საბჭომ რუმინიას ულტიმატუმი წარუდგინა, რომელშიც მოითხოვს, რომ შესწყვიტოს უნგრეთში ძარცვა ან და პასუხი უნდა გასცეს თავის ბოროტ მოქმედებაზე. რუმინიის მთავრობას ჯერ პასუხი არ გაუცია. პარიზში ფიქრობენ, რომ რუმინელებს უნგრეთში ამერიკის დელეგატები შესცვლიან. მოკავშირეები ფიქრობენ, ევროპის და აზიის ოსმალეთში უცხოელთა ჯარისაგან შეადგინონ პოლიცია, სანამ რაიმე გაყოფა მოხდებოდეს. დომბროვის სამთო რაიონში გაფიცვებთან ერთად მოხდა ძარცვა და არეულობა. გამოცხადდა საალყო წესები. სამხედრო ცნობა. აგვისტოს 28. დასავლეთის ფრონტი. ლუგის ჩრდილო-დასავლეთით ჩვენმა ჯარმა ბრძოლით სოფლები დაიჭირა. ხელში ჩაიგდო ტყვიის მფრქვეველები და წამოიყვანა ტყვეები. პსკოვის რაიონში ჩვენი შეტევა გრძელდება. სამხრეთ დასავლეთის ფრონტი. ვოლინის ნოვოგოროდის მიმართულ. მტრის დევნა გრძელდება. სამხრეთის ფრონტი კურსკის რაიონში ბრძოლაა. აგვისტოს 27. ჩვენ ხელში ჩავიგდეთ 1 ზარბაზანი, 4 ტყვიის მფრქვეველი, ჯავშნიანი ავტომობილი და სხვა სამხედრო მასალა. ჩვენ ბრძოლით პავლოვსკი ავიღეთ. ნოვოხოპერის აღების შემდეგ ჩვენი ჯარი შეტევას განაგრძობს. უტმედვედიცის რაიონში ჩვენმა ცხენოსანმა რაზმმა მტრის დივიზია დაამარცხა. წამოვიყვანეთ 200 ტყვე შტაბით. დევნა გრძელდება. ალმოსავლეთის ფრონტი. ურალსკის მიმართ. წითელმა ჯარმა სახარნოვსკოე დაიჭირა. ხელში ჩავიგდეთ 4,500 ტყვია და მრავალი თოფები. ორენბურგის რაიონში ჩვენი ჯარი მდ. ილსეზე გადავიდა და შეტევას განაგრძობს. აქტიუბინის მიმართ. ჩვენი შეტევა გრძელდება. ვერხნე ურალსკის სამხრეთ ალმოსავლეთით 75 ვერსზე ჩვენ მხარეზე ბაშკირთა ცხენოსანი ბრიგადა გადმოვიდა. ტობოლის მიმართ. ჩვენი შეტევა გრძელდება. **მოსკოვი.** 28 აგვ. ყაზახთა რაზმი, რომელმაც ტამბოვი დაიჭირა, ამ ჟამად ჩვენ მიერ გარს შემორტყმულია და სცდილობს, ზოგიერთი ცნობით, კოზლოვისკენ, ზოგიერთით—მორშანსკისკენ გამოსვლას. ფასტოვის რაიონში წითელმა ჯარმა პეტლიურას ჯარი დაამარცხა და სდევნის. პოლონელები როვნოსკენ გარბიან. პეტლიურას ჯარში გავრცელებულია ძარცვა-გლეჯა, რბევა და სხვა ბოროტ მოქმედება, კიევის გამგრებულ რაიონის საბჭოს წევრმა ლაცისმა სთქვა: „მდგომარეობა ამ ჟამათ ისეთია, რომ ქალაქს არავითარი პირდაპირი საფრთხე არ მოელის“.

ინგლისური პრესის ცნობები.

საფრანგეთის ხელოვნების აკადემიის წევრი, აღმოსავლეთის საკითხების მცოდნე ანრი კორდიე თავის საინტერესო წერილში არჩევს იაპონიის მიერ ჩინეთისთვის წარდგენილ მოთხოვნილებას, კორდიე ამბობს: „ამერიკას ევროპაზე კარგათ ესმის ის საფრთხე, რომელსაც ეს მოთხოვნილებები უქადის საყოველთაო მშვიდობიანობას. უკანასკნელის უზრუნველსაყოფად საჭიროა შანდუნის საკითხის სწორად გადაჭრა, აღსანიშნავია აგრედვე, რომ შეერთებული შტატები, ინგლისი და საფრანგეთი პირდაპირ არიან დაინტერესებული ამ საკითხის გადაწყვეტით“. კორდიე კრიტიკულად უყურებს ჩინეთის მოძველებულ წესწყობილებას და დაშახასიათებელ უსუსურობას კონფერენციის წინაშე საკუთარ ინტერესების დაცვას, მაგრამ ჩინეთმა ეხლა გაიღვიძა, მთელ ჩინეთში იაპონიის საქონელს ბოიკოტი გამოუცხადეს. ამ ეკონომიურმა ბრძოლამ შეაშფოთა იაპონელი სავაჭრო გემის პატრონები“. კორდიე ამბობს, რომ, სანამ ომი გრძელდება, იაპონელები მოხერხებულად გარს ერტყმიან ჩინეთს და ემუქრებიან მის დამოუკიდებლობას და ეკონომიურ ინტერესებს. როდესაც იაპონელები რუსეთის მეფის მთავრობასთან ხელშეკრულებას ხელს აწერდნენ, ისინი სცდილობდნენ არავითარი გარეშე დახმარება არ დაეშვათ ჩინეთისთვის. ავტორი აღნიშნავს 1916 წ. შეთანხმებას, რომელსაც ხელი მოაწერეს საზონოვმა და მოტონომ. ამ ხელშეკრულებით იაპონია და რუსეთი პირობას სდებდენ ერთმანეთისთვის დახმარება გაეწიათ, თუ მათგანის წინააღმდეგ მესამე სახელმწიფო მტრულ მოქმედებას დაიწყებდა. კორდიე დასძენს, რომ მოკავშირეებს არ ეპატიებათ ჩინეთისადმი მათი საქციელი საზავო კონფერენციაზე. ისინი იაპონიას უთმობდენ მხოლოდ იმიტომ, რომ იაპონიამ იტალიასავით უკან არ გაეწვია თავისი წარმომადგენლები. ომის დროს მოკავშირეებმა დააკმაყოფილეს იაპონიის მოთხოვნილებები, რადგანაც მას შეეძლო თავისი მოთხოვნილებები თავის არმიითა და ფლოტით დაეცვა, იაპონელები მებრძოლი ერია. იაპონელი მეკობრები მუდამ ესხმოდნენ ჩინეთის ნაპირებს. მე-17 საუკუნეში ისინი ფთოპინის კუნძულებს ემუქრებოდენ. ეხლა წყნარი ოკეანეს ჩრდილოეთი ნაწილის, ჩრდილოეთ აზიის ხელში ჩაგდებას და ჩინეთის პროტექტორატზე იცნებობს. კორდიე ირწმუნება, რომ დღეს იაპონია ისეთსავე პოლიტიკას აწარმოვებს როგორიც 1902 წ. კუნძ. ფორმოზის გენ გუბერნატორმა გენ. კოდამამ შეიმუშავა, რომელიც წინადადებას იძლეოდა პირდაპირ ხელიდან გამოეგლეჯათ საფრანგეთისათვის ბრინჯის უზარმაზარი საწყობები,—ჩინეთი. ჩვენ ვიცით, რომ იაპონია სცდილობდა არეულობა გამოეწვია... (გამოტოვებულია). რამდენიმე კვირის წინად იაპონიამ გვთხოვა 500 მუშა გაგვეგზავნა მისთვის, მაგრამ ჩინეთის ინდოეთის ადმინისტრაციამ გონიერად უპასუხა, რომ მუშები ჩვენ გვჭირია, ჩვენ რომ დავთანხმებულიყავით, მუშებს უკან დააბრუნებდა ფრანგების საწინააღმდეგო პროპაგანდისთვის.

ახალი ამბები

ბერლინში. საქართველოს დიპლომატიურ ელჩად ბ. იასონ ბაქრაძის მაგივრად დაინიშნა ვლ. ახმეტელაშვილი.

✦ **ქართველ სამხედრო ტყვეების** სატრანსპორტო კომისიის თავმჯდომარე კ. გამსახურდიამ ბერლინის საელჩოს მინდობილობით ჩამოიყვანა ფოთში 27 აგვისტოს 1700 საეხედრო ტყვე და სასოფლო-მეურნეობის მანქანები და სხვ. მარშრუტი ასეთი იყო: ჰამბურგი—საუთენტონი—გიბრალტარი, მალტა—ტენედოსი—სტამბოლი—ფოთი. გემი გამოსულა ჰამბურგიდან 2 აგვისტოს ფოთში მოვიდა 27-ს. ეს გემი საქართველოს მთავრობამ დაიქირავა. გერმანიაში დარჩა ნაწილი ქართულ ტყვეებისა.

✦ **თფილისის ყველა მოქალაქეებს** აუწყებს ქალაქ თფილისის პროფესიონალურ კავშირთა საბჭო, რომ კვირას, 31 აგვისტოს—„ფრონტის პროლეტარულ დღეს“—ყველა სავაჭრო-სამრეწველო, საკრედიტო დაწესებულებები, ბანკები და სხ... ღია იქნება და ჩვეულებრივათ იმუშავებენ.

✦ **უორდროპის ჩამოსვლა.** გუშინ, დილის 9 ს. ბათუმიდან ჩამოვიდა მისტერ უორდროპის თავმჯდომარეობით ინგლისის პოლიტიკური მისია. მისიას სადგურზე შეხვდნენ დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმი, მთავრობის წარმომადგენელნი და სხვ.

✦ **პოლკ. ჰასკელი,** მოკავშირეთა უმაღლესი კომისარი, აცხადებს, რომ მის მიერ სომეხთა პარლამენტში წარმოთქმული სიტყვა ისე ცუდათ იქმნა გადათარგმნილი, რომ ის ანგარიშები, რომელნიც გაზეთებში იქნა გამოქვეყნებული არ შეეფერება მის განცხადებაში გამოთქმულ აზრს, ეს მოხდა იმიტომ, აღნიშნავს უმაღლესი კომისარი, რომ მისი სიტყვა, წარმოთქმული ინგლისურ ენაზე, ითარგმნა რუსულათ და რუსულიდან პირველათ ეს ანგარიში გამოქვეყნდა სომხურ პრესაში.

✦ **სომეხი ლტოლვილები.** სომხეთის მზრუნველობის სამინისტროს რწმუნებული დავიდხანიანი ერევნიდან დეპეშით ატყობინებს თავის წარმომადგენელს საქართველოში, რომ დროებით შეაჩერონ სომეხ ლტოლვილთა სამშობლოში გამგზავრება.

✦ **სასანიტარო გადასახადი.** ქალაქის გამგეობამ 28 აგვისტოს დაამტკიცა სანიტარული გადასახადის განაწილება სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებათა შორის. წესების მე 12 მუხლის ძალით სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებათა პატრონებს უფლება აქვთ განასაჩივრონ განაწილება საბჭოს სახელზე დამტკიცების დღიდან ერთი კვირის განმავლობაში.

✦ **ავტომობილის მსხვერპლი.** 25 აგვისტოს კრილოვის ქუჩაზე ავტომობილმა სასიკვდილოთ დააშავა მეორე გიმნაზიის მერვე კლასის მოწაფე ლომთაძე.

✦ **ახალი წიგნი.** რედაქციამ მიიღო „სარაპნის“ გამოცემა იგ. გომელაურის მიერ შედგენილი „ქართველი მწერლები“. წიგნი მესამე, პირველი გაბრტყელებული ფორმატისაა შეიცავს 270 გვერდს და ღირს 40 მან.

✦ **უბედური შემთხვევა.** 28 აგვისტოს ჩერქეზოვის ქუჩაზე, ფურნეში, დიონისი ნიკოლაიშვილს უცაბედათ გაუვარდა რევოლვერი, რომლითაც სასიკვდილოთ დაიჭრა იქ მყოფი მისი ძმისწული.

✦ **ქურდობა.** საინტენდანტოს საწყობიდან 25 აგვისტოს მოიპარეს სხვადასხვა ნივთები 300,000 მან. ღირებული, ეჭვით შეიპყრეს რამოდენიმე პირი.

✦ **ფრონტის ფონდი.** მივიღეთ მიტო წინწალაშვილისაგან პანკისის ხეობის ქისტებს შორის შეგროვილი 3000 მ., მუკუზანის ეროვ. სახ. მამულის მუშა-მოსამსახურეებისაგან 167 მან.. ანდრია ერკეთელისაგან (ფრონტის დღის სასარგებლოდ გამართულ საღამოზე შემოსული)—615 მ., იროდიონ ცინცაბაძისაგან ქობულეთის ქართველ მუსულმანებს შორის შეგროვილი 4552 მ. კუკიის ს. დ. მცირე კოლექტივისაგან—2105 მ.

კრებები.

დღეს, საღ. 5 ს. დანიშნულია მე-4 რაიონის სოციალდემოკრატიულ ქალთა ორგანიზაციის საერთო კრება (ოლღას ქ. 29).

— კვირას, 31 აგვისტოს, საღ. 6 საათზე ბიუროს ბინაზე ოლღას ქ. 29 დანიშნულია საქ. სოც.-დემ. მუშათა პარტიის მეოთხე რაიონის წევრთა საზოგადო კრება. მომხსენებლად მოწვეულია ამხ. ნ. ხომერიკი. მოხდება კოლექტივის წევრების ხელახალი არჩევნები.

პროვინციის ძრწნიკა.

ახალციხე. 21 აგვისტოს შესდგა ახალციხის საოლქო სახალხო გვარდიის წარმომადგენელთა ყრილობა. თავმჯდომარეთ ერთხმად აირჩიეს ვანო ალიხანოვი, ამხანაგად ფაჩულია, მდივნად ვანო რუხაძე. დავით საღირაშვილი მთავარი შტაბის სახელით მხურვალე სიტყვით მიესალმა ყრილობას. შეეხო მომენტს და აღნიშნა სახალხო გვარდიის მნიშვნელობა, უსურვა რესპუბლიკისთვის თავგანწირული მუშაობა. სიტყვები წარმოსთქვეს ამხ. ბალანჩივაძემ და ფაჩულიამ და უსურვეს გვარდიას ნაყოფიერი მუშაობა. ყრილობამ აირჩია საოლქო შტაბის თავმჯდომარეთ ვანო ალიხანოვი, ამხანაგად სოხიშვილი, მდივნად ვანო რუხაძე, შტაბის წევრად ტიროშვილი, ტროფიმ მაისურაძე, კანდიდატათ ვიქტორ კაპანაძე, ილარიონ ბალანჩივაძე, ეგნატე ფაჩულია, ლეო ინოსარიძე და ილიკო ზაზაძე.

პროლეტარული ფრონტის დღე.

საქართველოს სახაზინო რკინის გზის მუშა-მოსამსახურეთა პროფეს. კავშირი ყოველ მხრივ მხარს უჭერს პროლეტარულ ფრონტის დღეს და სრულს იმედს გამოსთქვამს, რომ ყველა მუშები ამ დღეს სოლიდარულათ გამოვლენ სამუშაოზე და შესაფერისათ ჩაატარებენ მუშათა ძალების დემონსტრაციას.

ვინაიდან ტეხნიკურათ მოუხერხებელია, რომ ყველა რკინის გზელები ამ დღეს მუშაობდენ, ამიტომ, პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს გადაწყვეტილების თანახმად, რკინის გზელები ამ დღეს განთავისუფლებულნი არიან სავალდებულო მუშაობისაგან. იმუშავებენ მხოლოთ ისინი, რომლებიც წარმოების მოთხოვნილების მიხედვით იძულებულნი არიან ამ დღეს სამუშაოზე იყვნენ,

რაც შეეხება მატერიალურ დახმარებას, იმ დღიდანვე, რაც საჭირო გახდა ჩვენი რესპუბლიკის და თავისუფლების დაცვისათვის ბრძოლა, რკინის გზელები, თანახმად დელეგატთა ყრილობის დადგენილებისა, ყოველ თვე სდებენ ჯამაგირის ნახ. პროც. ჩვენი სახელოვან გვარდიის სასარგებლოთ და ამგვარათ დღემდე შეგროვილია ნახევარი მლიონამდე მანეთი, რომელიც რკინის გზელ გაჭირვებულ გვარდიელთა ოჯახს და ქვრივ ობლებს ეძლევა დახმარების სახით.

ცენტრალური გამგეობის თავმჯდომარე **ე. დიდიძე.**

მდივნის მაგიერ **ა. რუხაძე**

გაკოზი

ის. რამიშვილის ლექცია.

26 აგვისტოს მუშათა კლუბში ის. რამიშვილმა ლექცია წაიკითხა მიმდინარე მომენტზე. ლექციას დიდძალი საზოგადოება დაესწრო და დიდი კამათიც მოჰყვა მას.

ლექტორმა აღნიშნა, რომ ახალს ის ვერაფერს იტყვის—როგორც საქართველოს დამოუკიდებლობის მომხრეებმა, ისე მისმა მოწინააღმდეგეებმა კარგათ იციან რაც მოხდა. ის დაწვრილებით შეეხო საკითხს. მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი. გამოვიდნენ რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გორც ბალშევიკები, ისე სხვა პარტიების წარმომადგენელნი.

ლომინაძე მოითხოვს მომხსენებლისაგან დაასახელოს იმის მაგალითები, თუ სად მუშაობენ ბალშევიკები დენიკინის ფულით. მისი აზრით, უსაფუძვლოა საყვედური ბალშევიკებისადმი, თითქოს ისინი საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგნი იყვნენ. კომუნისტთა მერვე ყრილობის ანგარიშებში აშკარადაა ნათქვამი, რომ კომუნისტები სცნობენ დამოუკიდებლობას, მაგრამ ჩვენ ვსცნობთ მხოლოდ გლეხების და მუშების დამოუკიდებლობასო. საქართველოს მთავრობა, მისი აზრით, არაფრით არ განსხვავდება ბურჟუაზიული მთავრობისაგან, ამიტომ კომუნისტები იბრძოლებენ მის წინააღმდეგ. საქართველოს რესპუბლიკის ნეიტრალიტეტი ორატორს მიაჩნია თვალთმაქცობათ. სამოქალაქო ომი ყოველგვარი კლასობრივი ბრძოლის დაბოლოვებაა.

გოგიბერიძე სასტიკათ აკრიტიკებს მომხსენებლის მიერ წამოყენებულ დებულებებს. ორატორი ბრალს სდებს საქართველოს მთავრობას რევოლიუციის ღალატში და გლეხების დახვრეტაში.

აგაევის აზრით, მომხსენებლის მიერ შექებული დამფუძნებელი კრება რუსეთს მისცემდა მხოლოდ მახვილს. ქართველი მენშევიკები ტიპიური ნაციონალისტები არიან, რის მაგალითიც ის არის, რომ პირველი ლექცია რამიშვილმა ქართულათ წაიკითხა.

გნეზდილინი მოითხოვს მომხსენებლისაგან უპასუხოს მას სად წაიღო ის 9 მილიონი მანეთი საქართველოს მთავრობამ, რომელიც კავკავის წითელ არმიელებს ჩამოართვა.

ტუგარინი გრძელ სიტყვაში ესერების სახელით მოითხოვს ამიერ-კავკასიის ერების ორგანიულ გაერთიანებას და ამ მიზნით მოითხოვს მუშათა და გლეხთა ყრილობის მოწვევას.

ფროლოვმა თავის სიტყვაში დაიცვა საქართველოს მთავრობა. ის არწმუნებდა დამსწრეთ, რომ საბჭოთა რუსეთში რეჟიმი გაცილებით უარესია, ვიდრე საქართველოში. ამ ორატორის სიტყვის დროს დარბაზში საშინელი ხმაურობა ასტყდა, რაიც გაგრძელდა კამათის დასრულებამდე.

პეპინოვის აზრით, კომუნისტები ცდილობენ რა საბჭოთა მთავრობის ამიერ-კავკასიაში ძალად დამყარებას, ავიწყდებათ თავიანთი მასწავლებლის ლენინის სიტყვები, რომ ჩამორჩენილ მუსულმანთა ქვეყნებში და კერძოთ ადერბეიჯანში არავითარ სოციალისტურ რევოლიუციაზე ლაპარაკი არ შეიძლება.

ბოლო სიტყვაში **მომხსენებელმა** პასუხი გასცა მოწინააღმდეგეებს და, სხვათა შორის, სთქვა: „მე დამავიწყდა, რომ ბაქოს პროლეტარიატის წინაშე ვიყავი. მე უნდა წარმომეთქვა აღგზნებული სიტყვა, მაშინ ტაშს დამიკრავდენ. მაგრამ ჩვენ საქმეს უფრო სერიოზულად ვუცქერით. საქართველოში კარგათ იციან, რომ რეზოლიუციებით მტერს ვერ დაამარცხებ, ამიტომ ჩვენ თანდათან ვემზადებით საბოლოო ბრძოლისთვის. ჩვენ მოვითხოვთ, რომ ჩვენ შევუტიოთ დენიკინს, მაგრამ ჩვენ უკეთ ვიცით ჩვენი ძალები. თუ თქვენ ძლიერნი ხართ, რატომ არ დაეხმარეთ ახლობელ სოფლებს, როცა დენიკინი დაღისტანში გლეხებს ანადგურებდა?

უცხოეთი

ინგლისის მუშათა პარტიის საპარლამენტო ჯგუფში.

ინგლისის მუშათა პარტიის საპარლამენტო ჯგუფის სხდომაზე ირჩეოდა მოქმედება ამ ჯგუფის ერთ-ერთ ლიდერის ნეიღი მაკლინისა, რომელიც პარლამენტში ფეხზე არ ადგა ნაციონალური ჰიმნის შესრულების დროს. ეს კითხვა აღძრა ჯგუფის წევრმა ოუენ ტომასმა. კრებამ ის აზრი გამოსთქვა, რომ მაკლინს, როგორც ოფიციალურ წარმომადგენელს პარტიისა, უნდა წაებაძა პარლამენტის სხვა წევრებისთვისო. ამიტომ მაკლინს გაკიცხვა გამოეცხადა. დეპ. ტომასი, რომელმაც ეს კითხვა აღძრა, მოითხოვდა, რომ მაკლინისთვის ჯგუფის ლიდერის სახელწოდება წაერთვათ. ეს წინადადება ჯერ ორი მესამედი ხმებით მიიღეს, მაგრამ მერე ხელმეორე კენჭის ყრის დროს უარჰყვეს. მიიღეს ზემორე დადგენილება (გაკიცხვის შესახებ). არის ცნობები, რომ ამის გამო ტომასი პარტიიდან გამოსვლას აპირებსო“. („ტაიმსი“, 30 ივლისი).

ინგლის-ავღანელების საზავო კონფერენციაზე.

„ტაიმსის“ 30 ივლისის ნომერში სწერია: რეიტერის საგანგო გვამცნობს ავღანისტანის დელეგაციის თავმჯდომარის ალი-ახმედ-ხანის სიტყვის შინაარს, რომელიც მას წარმოუთქვამს ინგლის-ავღანისტანის საზავო კონფერენციის გახსნის დროს. ალი-ახმედ-ხანს უთქვამს, რომ როდესაც ორი ქვეყანა ომობს და ორივეს სურს ომი გაათავოს, ამ ორივე მხარემ უნდა გამოიჩინოს წინასწარ სიფრთხილე. თვითეული მათგანი უნდა სცდილობდეს მოიშოროს შთაბეჭდილება, თითქოს ის უკარნახებდეს ზავის პირობებს. ის არაა თანახმა სერ გამილტონ გრანტისა (ინგლისის დელეგაციის თავმჯდომარისა) ომის მიზეზების შესახებ. აგრეთვე არაა სწორე, თითქოს ავღანელებს პირველთ ეთხოვოთ ზავი. პირიქით ბრიტანეთის მთავრობამ შეატყობინა ავღანელებს, რომ თუ მათ სურთ ზავი, შეუძლიანთ დელეგატები გამოგზავნონო. ამის შემდეგ ემირმა გაგზავნა დელეგაცია. ალი-ახმედ-ხანი სცნობს, რომ ინგლისელები ძლიერები არიან მათზე ხალხით, ზარბაზნებით, ჰაეროპლანებით, მაგრამ გერმანელებსაც ჰქონდათ ამგვარი უპირატესობა ევროპის ომის დროს, მაგრამ ინგლისელებმა დაამარცხეს, რადგანაც მათ მოახდინეს კომბინაცია ყველა შესაძლებლობათა. ამის ჩადენა ავღანისტანსაც შეუძლია და ინდოეთის მთავრობა არ უნდა ჰფიქრობდეს, თითქოს ავღანელები მძინარე და უვნები ხალხი იყვეს. ევროპის ომმა დასაწყისი მისცა ყველა ნაციების მისწრაფებებს.

ავღანისტანის და ინგლისის მეგობრობის გამო, ავღანისტანი ბარიერი იყო ინდოეთსა და ბალშევიზმს შუა. თუ განახლდა ომი და ინგლისელებმა გაიმარჯვეს, მაშინ ამ გამარჯვებას მოჰყვება ინდოეთში ბალშევიზმის ნაკადელის შეჭრა, რომელმაც თითქმის მთელი რუსეთი დააღრჩო. სამართლიანი და საპატიო ზავი კი ამ ნაკადს კასპიის ზღვისკენ გადისვრისო.

რეიტერის ცნობით, თუ ავღანელები განაგრძობენ ჯიუტ და უაზრო ქცევას, მაშინ გამილტონ გრანტს შეუძლია კონფერენცია დამთავრებულად გამოაცხადოს.

დამატებითი არჩევნები ინგლისში.

ინგლისის პარლამენტში დამატებით არჩევნებში ბოსველში (შოტლანდიაში) მუშათა პარტიამ გაიმარჯვა. ამის კანდიდატმა რობერტსონმა მიიღო 13,135 ხმა, მთავრობის კოალიციის კანდიდატმა მოფფატმა კი—5,967 ხმა. დეკემბერში არჩევნებში გაიმარჯვა მთავრობის კოალიციის კანდიდატმა მაკდონალდმა, რომელმაც მიიღო 9,359 ხმა წინააღმდეგ, 9,027 ხმისა, რომელიც მაშინ მიიღო ეხლა არჩეულმა რობერტსონმა. აღსანიშნავია რომ ორივე კანდიდატი დაკავშირებული იყო ნახშირის მრეწველობასთან: რობერტსონი—თავმჯდომარეა შოტლანდიის ნახშირის მაღაროების მუშათა კავშირისა, მოფფატი კი ნახშირის მაღაროების მესაკუთრეა. საარჩევნო კამპანია სწარმოებდა უმთავრესად მაღაროების ნაციონალიზაციის გარშემო.

აქამდე დამატებითი არჩევნები მოხდა ექვს ოლქში. პირველ მთავარ არჩევნებში ამ ოლქებში გამარჯვება დარჩა მთავრობის კანდიდატებს, დამატებით არჩევნებში კი 3 ალაგი მათ მოაკლო ასკვიტის ჯგუფმა, 1 ალაგი მუშათა პარტიამ. დანარჩენი 2 ალაგი თუმცა შერჩათ, მაგრამ ხმების რიცხვი მაინც საკმაოდ შეუმცირდათ. („ტაიმსი“ 30 ივლისი).

ოსმალეთში.

„ტაიმსის“ კონსტანტინოპოლის კორესპონდენტი იტყობინება, რომ მცირე აზიაში, ანგორაში შესდგა, ოსმალეთის ნაციონალური კონგრესი, რასაც დაესწრო 139 დელეგატი ანგორისა და კონიის პროვინციებიდან. ამ კონგრესმა კონიის გენ.-გუბერნატორის საშუალებით შეატყობინა მთავრობას, რომ მოხდეს არჩევნები ძალდაუტანებლივ და რომ მთავრობა დაემორჩილოს ამ არჩევნების შედეგს. მთავრობამ, რომელსაც კონგრესი ახალგაზდა ოსმალების საქმედ მიაჩნია, შეატყობინა, რომ ის მალე გამოაქვეყნებს საარჩევნო კანონს, არჩევნებზე ძალდატანებას არ იხმარს, რომ ის არ სთვლის არსებულ პარტიებს საზოგადოებრივ აზრის გამომხატველად, მაგრამ ის არ შეუშლის ხელს კონგრესის მუშაობას, რამდენადაც ის შეეფერება კანონსა და მთავრობის განზრახვებს. წინააღმდეგ შემთხვევაში ის სასტიკ ზომებს მიიღებს. საზოგადოებრივი აზრი სკეპტიკურად უყურებს, თითქოს მთავრობას შეეძლოს ანგორის კონგრესი ან სხვა ამგვარი მარ თველობა თავის გავლენას დაუმორჩილოს. („ტაიმსი“, 30 ივლისი).

შინა-მრეწველობა

მსოფლიო ომმა აშკარად დაგვიმტკიცა, რომ იმ ქვეყნის მდგომარეობა, რომელსაც საკუთარი წარმოება არ აქვს და თავისი მოთხოვნების დაკმაყოფილება არ შეუძლია რამდენიმეთ მაინც, ყოვლად უმწეოა. სხვა ქვეყნიდან შემოზიდული საქონლით ამისთანა დროს ქვეყნის მოთხოვნილებას სავსებით დაკმაყოფილება ყოვლად შეუძლებელია იმიტომ, რომ როგორც დავინახეთ, არც სხვა ქვეყნებში მოიპოვება ზედმეტი საქონელი.

დიდი დრო გაივლის, სანამ ომით დანგრეულ წარმოებას კაცობრიობა აღადგენდეს. ეს კარგათ გაითვალისწინა ჩვენმა ხალხმა და ხელი მოჰკიდა შინაურულად აბრეშუმეულობის და შალების ქსოვას.

საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან მოდის მოთხოვნილება საჭირო იარაღების მიწოდების შესახებ. ამას ანგარიში უნდა გაუწიოს შინა-მრეწველობის განყოფილებამ, რა თქმა უნდა, შეძლების და გვარად.

დღემდე შინა მრეწველობის განყოფილება ცოტათი აკმაყოფილებდა ასეთ მოთხოვნილებებს, მაგრამ დღეს მოთხოვნილება ისეთი დიდია, რომ საჭიროა მეტი ყურადღების მიქცევა.

ამ მიზნით შინა მრეწველობის განყოფილება ახდენს ანკეტას. სთხოვს ერობებს სხვა კულტურულ დაწესებულებებს და კერძო პირებს, რომლებსაც აქვთ საფეიქრო სკოლები, სახელოსნოები ან ვინც აპირებს ასეთების გახსნას, ან ვისაც რაიმე ცოტათი დამოკიდებულება აქვს ამ საქმესთან, ნუ დაიზარებენ მიაწოდონ წერილობითი ცნობები შინა-მრეწველობის კანცელარიაში, შემდეგი მისამართით: თფილისი შინა-მრეწველობის განყოფილება მუშტაიდში.

რამდენი საქმოვი მანქანა აქვს, ან და რამდენის შეძენას აპირებს,—რამდენი სჭირიათ დგიმები, სავარცხლები, მაქვები აბრეშუმის და შალის, რომ დაახლოვებით ვიცოდეთ რამდენი რა იარაღი არის საჭირო.

შინა მრეწველობის განყოფილებას აზრად აქვს ეს იარაღები შეიძინოს საზღვარ გარეთიდან.

ინსტრუქტორი **ალ. ყლენტი**

P. S. ვსთხოვ სხვა გაზეთებს გადაბეჭდონ ეს წერილი.

აუცილებელი განმარტება

გაზეთ „ერთობი“-ს ამა აგვისტოს 16-ს მე 187 №-ში მოთავსებული იყო წერილი „იუსტიციის სამინისტროს საყურადღებოდ“ იმ კორესპოდენციის გამო, რომელიც მოთავსებული იყო „სახალხო საქმი“-ს მე 602 №-ში და რომელიც შეეხებოდა სიღნაღის სამაზრო ერობის გამგეობის უკანონო მოქმედებას მომრიგებელ მოსამართლის ნიკოლოზ ირიდიონის ძის გოცირიძის არჩევის საკითხში და ამ ფაქტთან დაკავშირებულ მოქმედებას სიღნაღის მაზრის მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობისას.

მე, როგორც თავმჯდომარე მაზრის მოსამართლეთა ყრილობისა, ვალად ვრაცხ ჩემს თავს რაიმე გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად და იმ უსაფუძვლო საყვედურის ასაშორებლად, ვითომ მოსამართლეთა ყრილობა „თავის უკანონო და მომრიგებელ მოსამართლეთა ინსტიტუტისათვის დამამცირებელ და გამათახსირებელ მოქმედებით ძირს უთხრიდეს ისეთს საქმეს, როგორც არის სასამართლო და სრულიად სცემდეს მას ხალხის თვალში“ განვმარტო შემდეგი:

სიღნაღის სამაზრო ერობის გამგეობამ, თანახმათ სამაზრო ყრილობის დავალებისა (დელეგაცია თავის უფლებისა) ამა წლის იანვარში პირველმა მოახდინა საქართველოში მომრიგებელ მოსამართლეთა არჩევნები. არჩეულ იქნა ხუთი კაცი; ამათ რიცხვში ნიკოლოზ ირიდიონის ძე გოცირიძე და ყველა ესენი წარუდგინა თფილისის ოლქის სასამართლოს დასამტკიცებლად; ოლქის სასამართლოს განყოფილებათა საერთო კრებამ იუსტიციის სამინისტროს დავალებით დროებით დაუშვა ივინი თანამდებობის აღსასრულებლად, ვინაიდან ჯერ საკანონმდებლო ორგანოთა მიერ არ იყო შემუშავებული წესი მომრიგებელ მოსამართლეთა დამტკიცებისა. რუსეთის კანონებით მომრიგებელ მოსამართლეებს ამტკიცებს სენატი, მაგრამ, რადგან საქართველოში სენატის დაარსებამდის ჯერ კიდევ დიდი დრო გაივლიდა და მოსამართლეთა დამტკიცების დაყოვნება კი ასე დიდს ხანს შეუძლებელი იყო, ამიტომ საქართველოს საკანონმდებლო ორგანომ გადასწყვიტა: დროებით, სანამ საქართველოში სენატი დაარსდებოდს, მომრიგებელ მოსამართლეთა დამტკიცება დაევალოს იუსტიციის მინისტრს. ამიტომ ზემოაღნიშნული ხუთი მოსამართლე და მათს რიცხვში ნიკოლოზ გოცირიძე იუსტიციის სამინისტომ დაამტკიცა თანამდებობებზე. ამ აქტის შემდეგ ყოველი მოსამართლე, თანახმად ყველა კულტურულ ერების კანონმდებლობისა, იურიდიულ მეცნიერებისა და თვით საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულ საბჭოს მიერ 1918 წ. ენკენისთვის 24-ს მიღებულ მომრიგებელ მოსამართლეთა ინსტიტუტის კანონისა, შეუძლებელია გადაყენებულ იქნას თანამდებობიდან, თუ არა სასამართლოს განაჩენით. და თუ სიღნაღის საერობო გამგეობამ გამოიჩინა ასეთი ნაკლები ცოდნა კანონიერებისა და სამაზრო საერობო ყრილობაზე უკვე დამტკიცებულ მოსამართლეებს ხელმეორედ დაუდგა ყუთები, მოახდინა არჩევნები და ერთი მათგანი გააშავებინა საერობო ყრილობას—ამაში ცოტაოდენათ თვალხილული იურისტი (და არა ისეთი როგორც „სახალხო საქმის“ კორესპონდენტი ყოფილა) მოსამართლეთა ყრილობას ვერავითარ ბრალს ვერ დასდებდა. თვით გონიერება და ლოგიკა კი მოითხოვს ვიფიქროთ, რომ თუ კანონიერი გზით არჩეულ და დამტკიცებულ მოსამართლის თანამდებობაზე დატოვება 4—5 თვის განმავლობაში ავტორიტეტს უკარგავს სასამართლოს ხალხის თვალში, რამდენათ დასცემს იმავ ხალხის თვალში სასამართლოს პრესტიჟს მომრიგებელ მოსამართლეთა ასეთი წარა-მარა „გათეთრება“ და „გაშავება“.

ამას გარდა ავტორი ზემო აღნიშნულ წერილისა ბევრს ლაპარაკობს კანონიერებაზე და კანონის დაცვაზე და სრულიად ავიწყდება ის, რომ როგორც მოსამართლეთა არჩევნები, ისე მათი დამტკიცება კანონის მიერ განსაზღვრულ წესით სრულებით არ შეეხება მოსამართლეთა ყრილობას: სამაზრო ერობა ირჩევს მოსამართლეთ, სენატი კი (ჩვენში ჯერ-ჯერობით იუსტიციის სამინისტრო) ამტკიცებს მათ და წარდგენა უკვე არჩეულ მოსამართლეთა სენატში დასამტკიცებლად, თანახმად სასამართლო დაწესებულებათა წესდების მე 37 მუხ. შეადგენს სამაზრო ერობის ყრილობის თავმჯდომარის პირდაპირ მოვალეობას და არა მოსამართლეთა ყრილობისას.

მით უმეტეს მოსამართლეთა ყრილობას არა აქვს არავითარი უფლება, თანახმად, იმავ მე 37 მუხ შენიშვნის 1 განმარტებისა, არამც თუ რაიმე მონაწილეობა მიიღოს მოსამართლეთა არჩევნების და მით უმეტეს დამტკიცების პროცესში, არამედ მას კანონით კატეგორიულათ აღკრძალული აქვს შევიდეს მომრიგებელ მოსამართლეთა არჩევნების დროს ერობის მიერ დაშვებულ უკანონობის და უწესოების განხილვაში

ყველა ზემონათქვამის შემდგომ საზოგადოებისათვის ცხად უნდა იქმნეს, თუ რამდენად დაუშვებელია ისეთი შეუსაბამო გაშუქება საკითხისა პრესის საშუალებით, როგორიც ჩაიდინა ბატონმა ხმოსანმა „სახალხო საქმის“ ფურცლებზე, ვითომდა „სასამართლოს პრესტიჟის“ დასაცავად და ამავე დროს კი თვით სცდილობს დაუკარგოს ავტორიტეტი იმ ახალ ინსტიტუტს, რომელსაც ახლად ჩაეყარა საძირკველი საქართველოში, რომლის სრული განხორციელების და ცხოვრებაში გატარების პირველობა ერგო სიღნაღის მაზრის მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობას და რომელსაც, ვგონებ, თვით ავტორიც ემსახურება.

სიღნაღის მაზრის მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობის თავმჯდომარე **შალვა გრიგოლის ძე ტატიშვილი.**

ბუშათა შორის

ფოთი. აქაური ხე-ტყის ქარხნები ალარ მოძრაობენ წინა წერილში ჰქონდა მოხსენებული კავშირის ლიკვიდაცია, თუ კიდევ გასტანდა ეს უმუშევრობა. ეხლა მართლდება, რომ მუშაობა კიდევ დიდხანს არ დაიწყება. ეს სჩანს იქიდან, რომ პასუხი ჯერ კიდევ არ მოგვიღია სამინისტროსაგან, რომ ჩვენ ვყოფილიყავით დარწმუნებული იმაში, თუ როდის დაიწყებოდა მუშაობა ხსენებულ ქარხნებში, ან არა და რას ფიქრობდა სამინისტრო: იყო საჭირო ხე-ტყის დამუშავება აქ თუ არა. მაგრამ შესაძლებელია რაიმე სხვა მიზეზები გადაეღობა ჩვენს თხოვნას უფრო სერიოზული და ამ მიზეზის გამო ვერ მივიღეთ პასუხი, თორემ ჩვენ არა ვართ დარწმუნებული იმაში, რომ სამინისტრომ უყურადღებოთ დასტოვოს ჩვენი თხოვნა. ჩვენ ამხ ნაგი მუშები ვანუგეშეთ იმით, რომ დღეს თუ არა, ხვალ მივიღებდით პასუხს სამინისტროსაგან და დავრწმუნდებით სინამდვილეში-თქო. მაგრამ რადგანაც პასუხს დააგვიანდა, მუშებმა ველარ გაუძღეს უმუშევრობას და ნაწილი მუშებისა წავიდ წამოვიდა სოფლებში, ნაწილი კი აქაური მუშებია და ემორჩილებიან კავშირის გამგეობის დირექტივებს, ვინაიდან ცოტათ თუ ბევრათ მათ იციან დღევანდელი ვითარება და ვერავითარ საწინააღმდეგო სიტყვას ვერ გაიგონებთ მათგან. ეს მტკიცდება იქიდან, რომ აქ უკვე მოხდა ბალშევიკების გამოსვლა და არც ერთ მუშას არ მიუღია მონაწილეობა ამ გამოსვლაში. ამ დარგის მუშები ყოველთვის მზად იყვენ და არიან, რომ ხელი შეუწყონ ცხოვრების ნორმალურ კალა-

პოტში ჩაყენებას. მიუხედავათ მათი ეკონომიური გაჭირვებისა, ხსენებული დარგის მუშები თუმცა რიცხვით მცირენი არიან, მაგრამ თავიანთი წვლილი მუდამ შეჰქონდათ და შეაქვთ პარტიაში და სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ არასოდეს არ უღალატებენ იგ დროშას, რა რიგი ლიკვიდაცია არ უნდა მოხდეს, რაც უნდა დაიქსაქსონ, რომელ დროშასაც ცხრაას ხუთიდან მიჰყვებიან, საჭირო კი არის იქნას სათანადო ყურადღება მიქცეული ვისგანაც ჯერ არს, რომ ამუშავდეს ქარხნები და უზრუნველყოფილი გახადონ უმწეოთ მდგომარეობაში მყოფი მუშები. თუმცა საერთოდ გაჭირვებას ვერც იმით დაახწევენ თავს დღევანდელი სიძვირის გამო. მოვუწოდებ ამხანაგებს, რომ ჭირს გაძლება უნდა და ნუ ჩავარდებიან სასოწარკვეთილებაში.

ს. ხაფთასი.

ამხანაგ მუშების და მუშათა ორგანიზაციების მიმართ.

ამხანაგებო! ჭიათურის მუშათა დეპუტატების საბჭოს დავალებით ჩემის სახით მოთხოვნილ იქნა ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა საბჭოსაგან იმ ვალების სავსებით გადახდა, რომელიც მათზე ირიცხება ჭიათურაში დაშავებული მუშების რამოდენიმე წლის, როგორც პენსიის სახით, აგრეთვე ნაცდურების. შავი ქვის მრეწველთა საბჭომ მოისმინა მოთხოვნილება მუშათა დეპუტატების საბჭოსი და დაადგინა: გადახდილ იქნეს მთელი ვალები დაშავებული მუშებისა და ეთხოვოს ჭიათურაში შრომის სამინისტროს რწმუნებულს მიმართოს მუშებს, რომ გამოცხადდენ ჭიათურაში მრეწველთა საბჭოს კანტორაში და მიიღონ მთელი ანგარიშები და სავსებით გაასწორონ.

ვაცნობებ რა ამას ამხანაგ მუშებს და მუშათა ორგანიზაციებს, ვსთხოვ აცნობონ მუშებს ვინც კი დაშავებულა ჭიათურის რაიონში, ალაროში, ქარხანაში, ან ავათმყოფობის გამო, ნაცდურები ერგებათ ან სხვა; ნუ დაიზარებენ გამოცხადდენ ჭიათურაში მრეწველთა საბჭოს კანტორაში მიიღონ და სავსებით გაასწორონ ანგარიშები, რაც კი მათ ერგებათ საბჭოსაგან.

შრომის სამინისტროს რწმუნებული ჭიათურაში ის. ხარატიშვილი.

ს.-დ. პარტიაში

კახეთის რკინის გზის სამმართველო. 24 აგვისტოს შესდგა სამმართველოს ს. დ. წრის და ს. ს. დ. მ. პ. მეხუთე რაიონის წევრთა შეერთებული კრება. დღის წესრიგი იყო: 1) მოხსენება მომენტის შესახებ, 2) წრის და კოლექტივის გაერთიანება, 3) კოოპერატივის შესახებ და 4) სამაცადინო წრეების დაარსება.

მომენტის შესახებ მოხსენება გააკეთა შ. აბდუშელიშვილმა. კრება კმაყოფილი დარჩა მოხსენებით.

სამმართველოს ს. დ. წრის და ნავთლუღის კოლექტივის გაერთიანების შესახებ კრებამ დაადგინა: დაარსდეს სამმართველოში ცალკე ქვე-კოლექტივი, რომელიც წარმომადგენლის სახით დაუკავშირდება ნავთლუღის მეხუთე რაიონის კოლექტივს. ხოლო პარტიული საზოგადო კრებები უნდა ხდებოდეს სამმართველოში.

კოოპერატივის შესახებ გამოირკვა, რომ იქ თავიდანვე არ ყოფილა საქმე ჯეროვან ნიადაგზე დაყენებული და, რაც უმთავრესია, არ ყოფილა დაცული პრინციპი კოოპერაციისა.

კრებამ დაადგინა: რომ უფრო კარგათ მოწესრიგდეს სასურსათო საკითხი კახ. რკ. გზაზე, ამისთვის საჭიროა პროფ. კავშირმა თავის ხელში აიღოს ეს საქმე და თავის წევრთა საზოგადო კრებაზე აირჩიოს სასურსათო კომიტეტი, რომელსაც უნდა ჩაბარდეს მთელი კოოპერატივი.

სამაცადინო წრეების დაარსების შესახებ კრებამ დაადგინა: დაარსებულ იქნეს ახალგაზრდა მუშებისაგან ერთი წრე ნავთლუღში და ერთი სამმართველოში. ამ წრეების მოწყობა მიენდო ფ. ნინუას და გ. ბალარჯიშვილს.

ვ. ბ—ძე.

პროვინცია

ფოსტა-ტელეგრაფი სოფლათ.

ჩვენში, სამწუხაროთ, ბევრს ნაკლებათ აქვს გათვალისწინებული, თუ რა მნიშვნელობა აქვს ფოსტა ტელეგრაფს სოფლათ, ჟურნალ გაზეთებიც ნაკლებ ყურადღებას აქცევენ მას.

ამ ერთი წლის წინათ შესდგა ორგანიზაცია ზემო აღნიშნულ მიზნის ტეხნიკურათ მოსაწყობათ, რომელშიაც შედიან მთავრობის რწმუნებული მექანიკოსები განსაკუთრებული სატელეგრაფო მომუშავე გუნდით.

ეს გუნდი და ორგანიზაცია შესდგა ჯერ კიდევ შარშან 1918 წ. საერობო, სამხედრო სამთავრო და სხვადასხვა კავშირ-ქსელების სამუშაოთ. ამისათვის ეს ორგანიზაცია დაიყო ჰატარა „იაჩეიკებათ“ და ტეხნიკური პერსონალის ხელმძღვანელობით გაიმართა კავშირის მუშაობა, რაც ჯერ-ჯერობით კარგათ მიმდანარეობს მუშაობას ხელი შეუშალა სხვადასხვა ნაირ გამოსვლებმა, როგორიც იყო მაგ. სომხეთთან ომი, ახალციხის ამბები, ბალშევიკური გამოსვლები და ამნაირივე მდგომარეობა სოჭა-სოხუმის მიმართულებითაც. აღნიშნულ იაჩეიკების ნამუშევარმა (კარგი კავშირის შემწეობით) გაადვილა ლიკვიდაცია ამნაირი არა სასურველი მოვლენებისა. სხვათა შორის აღსანიშნავია ის ნაბიჯიც ამ ორგანიზაციის მიერ გადადგმული ყველა პროვინციებისკენ—და ყველა საზოგადოებებში, სოფლებში არსდება ტელეფონები და ტელეგრაფები, რასაც მცხოვრებლებში დიდი აღფრთოვანება შეაქვს.

ჯარისკაცი ლ. ცხვედიანი.

სვანეთის ავ-კარგი

1917 წელს როგორც სხვაგან სვანეთშიაც დაიწყეს სხვა და სხვა პარტიების სახელით ლაპარაკი და აგიტაციის გაწევა, მაგრამ ხალხმა, მხოლოდ უხეში ძალის მნახველმა, თავისუფლების ვერა გაიგო რა და სწორეთ ამის მიზეზი იყო, რომ სვანების დიდი უმრავლესობა უნდობლათ უყურებდა მაშინდელ მთავრობას—ამიერ-კავკასიის კომისარიატის სახით.

ადგილობრივი ინტელიგენცია ყოვლად უძლური იყო და ვერავითარი უნარი ვერ გამოიჩინა, რომ საქმეს გასძღოლოდა. ინტელიგენტებმა, როგორც წინეთ, თავისუფლების ხანაშიც, განაგრძეს ერთმანეთის კბენა და ხალხს ბოროტების მეტი კარგი მაგალითი ვერ აჩვენეს. თავისუფლებაზე და სხვა და სხვა პოლიტიკურ პარტიებზე ვითომდა ბევრს ლაპარაკობდნენ, მაგრამ ხალხი მათ არასფერს არ უჯერებდა. საგანგებოთ მთავრობისაგან არავინ იყო გაგზავნილი, ამიტომ სვანები ამბობდნენ, რომ ჩვენ იმას დავემორჩილებით, ვისაც ნრეალური ძალა ექნებაო. ეს ძალა კი მათ ვერ ნახეს და სწორედ ეს იყო მიზეზი ხალხის ისე არევისა, რომ „ძალლი პატრონს ვერა სცნობდა“. ადგილობრივ იყვნენ კომისრებიც, მილიციონერებიც, მაგრამ ფაქტიურათ ისინი ვერასფერს აკეთებდნენ, ხალხი მათ არასფერს უჯერებდა, მით უმეტეს რომ ზოგი „კომისარი“ თვით სძარცვავდა ხალხს და სხვებსაც ურჩევდა სხვის ჯოგების მოსატაცებლათ წასვლას. ჯამაგირს ყველანი ლებულობდნენ უკლებლივ და ხაზინა ზარალდებოდა. ერთი სიტყვით, ადმინისტრაცია ყოვლად უძლური და უორგანიზაციო იყო.

რაც შეეხება იმას, რომ ცოტათ თუ ბევრათ წეს-რიგი იყო დაცული, ეს თვით ხალხის უნარით. ერთი სოფელი მეორეს შეჰფიცავდა ერთგულობაში და ამნაირათ მთელი სვანეთის სოფლებმა ერთი-ერთ შორის დასდვეს ფიცი, რომ ერთმანეთს არა ავნონ რა, არც ქურდობით და არც სხვა ბოროტ მოქმედებით. თუ რაიმე გასარიგებელი საქმე ჰქონდათ ერთმანეთში, ყველაფერს თვითონ არიგებდნენ და ასწორებდნენ; ასე რომ, სასამართლო და მილიცია ადარ სჭირდებოდათ. ხშირათ იყო ასეთი მაგალითი, რომ რამოდენიმე ათი წლების ძველი შურისძიების გამო, თუ ერთ სოფელს არ დააკმაყოფილებდა მეორე სოფელი (თუ მათ შორის იყო რაიმე სადავო), მაშინ მომჩივნის სოფლიდან წავიდოდნენ რამოდენიმე ათეული ახალგაზრდები და დაუწყებდენ სროლას (ვინტოვკა ყველას აქვს) იმის სოფელს, ვისაც ედავებოდნენ და ამნაირათ აიძულებდნენ მედიატორულის წესით გასამართლებულიყვნენ.

ქურდობა და ყაჩაღობა თუმცა ერთმანეთში მოსპეს, მაგრამ სამაგიეროთ „ნებადართული“ იყო სხვაგან (სვანეთს გარეთ) ეყაჩაღნათ და ეძარცვათ.

ეხლა სვანეთში ასე თუ ისე ადმინისტრაცია არის და ცხოვრებაც ჩვეულებრივ კალაპოტში დგება.

გასულ ოვეში სვანეთში იყვნენ დამფუძნებელი კრების წევრნი გ. ცინცაბაძე, ს. ვადაჭკორია და ბ-ნი რ. ნიჟარაძე. მათ ხალხი ძლიერ ტკბილათ შეხვდა და მგონი კარგ ნაყოფსაც გამოიღებს მათი მოგზაურობა სვანეთში. სხვათა შორის, იმათ დაარწმუნეს ხალხი, რომ ძარცვა-გლეჯა არ ვარგა და თუ რაიმე ნაძარცვი და ნადავლი არის სვანეთში, ყველაფერს გადახდა უნდა.

უნდა აღვნიშნო, რომ მილიციონერთა რიცხვში შედიან ბევრი ყოვლად უვარგისი და არა-საიმედო ელემენტები.

უწამლობისა და მოუვლელობის გამო ბევრი კაცი ესალმებოდა წუთისოფელს, მაგრამ ის, რაც ხდება ეხლა პირდაპირ წარმოუდგენელია. გასული ზამთრის განმავლობაში დღევანდლამდე მძვინვარებს პარტახტის სახადი. როგორც სოფლის ჩვეულებაა, ერთმანეთში სიარულს მაინც არ იშლიან, პირიქით, უფრო მეტათ იყრიან თავს ავათმყოფის ოჯახში. სუფთათ თავს ვერ ინახავენ მცხოვრებლები და ავათმყოფობა გადადის. წამალი არავითარი არ არის. წარმოიდგინეთ, უბრალო დარიგებაც არავის ახსოვს ექიმისაგან, ექიმი კი არის, ფერშალიც არის, აგრეთვე საავათმყოფოც აფთიაქით, მაგრამ ყოველივე ესენი მხოლოდ უზომო ხარჯებს იწვევენ და ხალხი კი ვერ სარგებლობს.

ხალხი იხოცება უმოწყალოთ. ძვირათ ნახავთ ისეთ ოჯახს, რომ ამ 7—8 თვის განმავლობაში ორი ან ერთი მაინც არ მომკვდარიყოს. ამ ბოლო დროს ისე შეეჩვია ხალხი ავათმყოფობას, რომ ავათმყოფს თითქმის სრულებით არც კი უვლიან და მისი სვეტბედი მხოლოდ ღმერთზე აქვთ მინდობილი.

მუშა სვანი.

განცხადებანი

ნიკოლოზ გომბერაძემ

დაკარგა

ატესტატი, № 41, ტობანიერის უმაღლეს პირველ დაწყებით სასწავლებლისაგან მიცემული. ითვლება გაუქმებულად.

---

27 აგვისტოს თფილისის სადგურზე ბორჯომის საზაფხულო მატარებლიდან გადმოსვლის დროს

დავკარგე

საფულე, რომელშიაც იყო შემდეგი დოკუმენტები: ს.-დ. პარტიული წიგნაკი, მუშათა საბჭოს წევრობის მოწმობა, მეტყველთა პროფ. კავშირის გამგეობისაგან მოცემული ბარათი, თფ. საოლქო არსენალიდან მოცემული მოწმობა, როგორც იქ მომუშავე ხელოსანი და სხვა ქაღალდები. მპოვნელს ვსთხოვ დამიბრუნოს შემდეგი ადრესით: თფილისი, არსენალი, ლეონტი ოთარის ძე მამალაძეს (არსენალის მუშას). უკიდურეს შემთხვევაში დოკუმენტებს ვაცხადებ გაუქმებულად.

ბორჯომში

პროფ. დოქტ. მედიცინისა **ს. ბ. ბოსტანეფილი** იღებს ნერვების და შინაგანი ავადმყოფობით სნეულებს. მისამართი: სასტუმრო „მინერალური წყლები“ (Минеральныя воды).

ექიმი **ს. ბ. ბალანჩივაძე** ქალისა და სადოსტაქრო ავადმყოფების მიღება ყოველ დღე საღ. 5—7 საათ. ოლღას ქ. № 41, ტელ. 12—75.

ექიმი **ს. ა. შაშვრანი**

სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამ: ოლღას ქუჩა № 33.

ექიმი **ნ. ლ. ტურიაშვილი**

მედიცინის დოკტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა იღებს შინაგან, საბებიო და ქალურ სნეულ. ოთხშაბათობით და შაბათობით დილ. 10—11 საათ. დანარჩენ დღეებს დღის 12—2 ს. ნიკოლოზის ქუჩა № 7 სიმხოვიჩის აფთიაქის გვერდით. ტელეფონი 14—13.

ექიმი **ა. დ. კეკელია**

სიფილისი და ვენერიული სნეულებანი. შეშხაპუნება „606“ და „914“ მიღება დილით 9—11, საღამოთი 4—6 ს. მიხეილის პროს. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ № 116 ტელ. 14—28.

ექიმი **ნიკოლოზ ივანეს ძე მახვილაძე** იღებს სპეციალურად—მალარიით (ციებდა მისი შედეგებით დასნეულებულთ) სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 4—6 საათამდე. ელექტრიზაცია. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, ზემელის აფთიაქის ახლო.

ექიმი ქალი **ა. ს. ზიზლო-ხაბაშვილი** მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ ქირურგიულ კოლლეჯისა. თფილისიდან წასვლის გამო ავადმყოფთა მიღება შეწყვეტილია 20 აგვისტომდე.

ექიმი **ლ. ბ. ჯაფარიძე** ლებულობს შინაგან, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულობით ავათმყოფებს დილის 12—1 ნახ. საათ. საღამოს 5—6 საათ. მისამართი: მადათოვის ქუჩა. № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ, ტელეფონი 16—65.

რაჭის სამაზრო ერობის გამგეობა

იწვევს **ექიმ დოსტაქარს** (3000 მ. თვეში), **ექიმებს** და **ფერშლებს.**

თხოვნები უნდა გამოიგზავნოს ქ. ონში გამგეობის სახელზე; აქვე შეიძლება დაწვრილებითი პირობების გაგება.

რაჭის სამაზრო ერობის გამგეობა

იწვევს **ხელსაქმის მასწავლებლებს** სასალხო სკოლებისათვის.

თხოვნები უნდა გამოიგზავნოს ქ. ონში გამგეობის სახელზე; აქვე შეიძლება დაწვრილებითი პირობების გაგება.

რაჭის ერობის გამგეობა

ამით აცხადებს რომ ქ. ონში მომავალ ენკენისთვიდან იხსნება ქალ-ვაჟთა გიმნაზია. მიმდინარე სამოსწავრო წელში იქნება მხოლოდ მე 5 თე კლასი. გამოცდით მიიღებიან ყველა, ვისაც გაუთავებია: ოთხი კლასი მთავრობის გიმნაზიისა (ქალთა ან ვაჟთა) რეალურ და კომერციულ სასწავლებლებისა, სასულიერო გიმნაზიებისა: აგრეთვე უმაღლეს პირველ დაწყებითი სასწავლებლ. კურს დამთავრებულნი თუ დარჩა თავისუფალი ადგილი. სხვებს შეუძლიათ ჩააბარონ ოთხი კლასის კურსი 6 ენკენისთვიდან ახალი სტილით. თხოვნები უნდა გამოიგზავნოს ქ. ონში გიმნაზიის დირექტორის სახელზე. თხოვნას თან უნდა დაერთოს მეტრიკული მოწმობა და აგრეთვე მოწმობა ოთხი კლასის გათავებისა ნიშნებით, ვისაც სურთ უეგზამენოთ იქნენ მიღებულნი. თხოვნები მიიღება 1 ენკენისთვემდის ახალი სტილით.

სწავლა დაიწყება 1 ენკენისთვიდან ძველი სტილით.

სორაპნის გამოცემა

დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდათ **ივ. გომელაურის** მიერ შედგენილი **ახალი სახელმძღვანელო**, სკოლებში შესასწავლი

ჰაერთველი მწერლები

წიგნი მე-III. უმაღლეს დაწყებით სკოლების უკანასკნელი კლასისათვის დაიბეჭდა აგრეთვე პირველი და მეორე ნაწილი იმავე ქართველი მწერლებისა.

მისამართი: თფილისი, სტამბა „სორაპანი“, მ. გაჩეჩილაძეს და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზია. (2—1)

თფ. სახელმწიფო საშუალო კულტურულ-ტეხნიკური სასწავლებელი

(ალექსანდრეს ქ. № 57)

განმეორებითი და მისაღები გამოცდები საზოგადო განყოფილების—დაბალ და მაღალ მოსამზადებელ კლასებში და პირველი სპეციალური კლასებში დაიწყება სექტემბრის 8 დან; მეცადინეობა კი 15 სექტემბრიდან. დაბალ მოსამზადებელ კლასში მიიღება გამოუცდელად ყველა, ვისაც გაუთავებია პირველდაწყებითი სასწავლებელი, პირველ სპეციალურ კლასში კი—ვისაც დაუმთავრებია უმაღლესი პირველ დაწყებით სასწავლებელი დამატებითი გამოცდით შ. თემატიკაში. (2—1)

გიმიენური ახალი გამოგონება „ტერრიტ“

უახლესი საშუალება—ყოველგვარი ჭურჭლის საწმენდი სიმჟავეთა დაუხმარებლად. ღირსება: ჭურჭელს სწმენდს საუცხოოდ და ხელებს არამ თუ აფუჭებს, პირიქით, ათეთრებს და არ ბილებს, ხელის დაბანის დროს საპონის ხმარება ზედმეტია.

ᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ ᲧᲕᲔᲚᲒᲐᲜ.

ნახევარი გირვანქა ყუტის ქილაში გაკეთებული ღირს 7 მან., უქილოდ—6 მან. დასაკვეთად მიმართეთ: თფილისი, ელისაბედის ქ. № 18, ბინა 1. (3—2)

მსწრაფლმბეჭდავი სტამბა რეზაძისა, გაბაშვილის შესახვევი № 1.